

პირველი ჩემპიონატის პირველი ჩემპიონები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 218 (5248)

1974 წ. 2 ნოემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სოჭი, 31 ოქტომბერი. მსაჯთა კოლეგიამ რამდენიმეჯერ გადაიანგარიშა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ქვეყნის ჩემპიონატის გუნდური ასპარეზობის შედეგები და შემდეგ მთელ სტადიონს მოედო ცნობა: „ლენინგრადის ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა“.

— ყურადღებას ძირითადად საერთო ჩათვლაზე ვამახვილებდით, — გვიამბობს ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის სტუდენტი ვ. ვედაუ. — ბიჭებმა კომკავშირის კრებაზეც თქვეს, რომ პირველ ყოვლისა ნაკრებისთვის ქულების დაგროვებას ეცდებოდნენ. პირადი ჩათვლა კი მეორეხარისხოვანი საქმე იყო.

ჩემპიონატმა, რომელმაც სამ დღეს გასტანა, დღეს დასახელა გამარჯვებულნი საფეხურების მიხედვით: მესამე (16-18 წლის ფიზკულტურელები) — ნოვოროსიისკელი მოსწავლე ლ. მუხანიოვა და რიგელი სტუდენტი ს. ავერინი, მეოთხე (პირველი ჯგუფი — 19-28) — კიეველი სტუდენტი ვალენტინა კომპანეეცი და ფიზკულტურის ინსტრუქტორი ვ. ანტიმონოვი (კუსტანაი), მეოთხე (მეორე ჯგუფი — 29-34) — გორკელი მღარავი ნ. ბოგოსლოვსკაია და სოჭელი ინჟინერი ვ. შაბანოვი.

მეოთხე საფეხურის პროგრამით პირველ ათ ადგილზე გასულებს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭებათ.

სოჭის ფინალური სტარტები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამართულ მასობრივ შეჯიბრებათა კულმინაციად იქცა.

— ეს ჩემპიონატი ფიზკულტურასა და სპორტს სამუდამოდ შეაყვარებს მილიონობით მუშას, სტუდენტს, მოსწავლეს, — უთხრა საკადესის კორესპონდენტს ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. ბრაგინამ. — ჩვენ ჯერ არ გვინახავს ასეთი მასობრივი შეჯიბრება.

სოჭის ტურნირის ფავორიტებად კრასნოდარის მხარის წარმომადგენლები ითვლებოდნენ. მათს გარდა მხოლოდ ლენინგრადელებს ჰქონდათ წარმატების იმედი. ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე ლენინგრადის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორმა გ. ვოლოდჩენკომ თანაქალაქელებს უთხრა:

— მოდით, შედეგებს დაველოდოთ. იქნებ პირველ ადგილზეც გავედით.

... ხალხი წავიდ-წამოვიდა. მხოლოდ სამდღიანი დაძაბული ბრძოლით დაღლილი ლენინგრადელები და კრასნოდარელები თბებოდნენ სამხრეთის მცხუნვარე მზეზე. სტადიონზე სიჩუმე იყო. მხოლოდ ხანდახან ისმოდა ლაპარაკი და შეძახილები მსაჯების ლოქიდან.

ჩემპიონები რომ გამოაცხადეს, ვოლოდჩენკოს ვკითხე:

— ვის გამოყოფდით ლენინგრადის გუნდიდან?

— ჩვენ ძალიან მეგობრული, შედუღაბებული კოლექტივი გვყავს, — მიპასუხა მან. — ასეთი წესი გვაქვს: ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის. მაგრამ მაინც ყველაზე დიდ ქებას იმსახურებს ქარხანა „ბოლშევიკის“ კონსტრუქტორი ტაისია ვიაზოვა. კროსში მის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, ვიაზოვამ ბრწყინვალედ გაირბინა დისტანცია და გუნდს გამარჯვებისთვის საჭირო ბოლო ქულები მოუტანა. კარგად გამოვიდნენ ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენები ალექსი ჩერკასოვი და მარინა მოროზოვა. მათ სურთ კარგი მძლეოსნები გახდნენ და ამ სახეობაში მაღალ შედეგებს მიაღწიონ.

ა. ლევინსონი.
(საკადესის კორ.).

* * *

სურათზე: ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ზეიმი სტადიონზე.

ჩვენ ქოდან ★ ჩემპიონებში

სამგზის გამარჯვებული

აზერბაიჯანის VI სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა „შრომითი რეზერვების“ ახალგაზრდა მელოსიპედისტმა ა. ავერინმა. იგი უძლიერესი აღმოჩნდა სამ სახეობაში: 44 კილომეტრზე რბოლაში, წრიულ რბოლაში (14 წრე — თითოეული 3300 მ) და 164 კილომეტრზე ჯგუფურ შეჯიბრებაში. ბოლო რბოლაში III ადგილი დაიკავა ავერინის თანაკლუბელმა, შეჯიბრების ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 17 წლის ვ. კუზნეცოვმა, რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატი ნორმატივი. მეგობრების დამჯერებელმა გამარჯვებამ მათს გუნდს ჩემპიონობა მოუტანა.

სამბისტთა შეჯიბრებაში, სადაც II ადგილზე „ვოდნიკის“ სპორტსმენები გავიდნენ, კოლექტივის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ძმებმა ცატუროვებმა — ისინი სამნი არიან.

ა. ნიკოლსკი.
(საკადესის კორ.).

ბაქო.

ჩემპიონთა სკოლა სოფლად

სპორტსაზოგადოება „კოლხოზჩის“ რაიონულ საბჭოსთან შეიქმნა ჭიდაობის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა, რომელიც პირველია მთელს თურქმენეთში. სამბოს, ძიუდოს და თავისუფალი ჭიდაობის ილეთებს ეუფლება კოლმეურნეთა 200-მდე ბავშვი.

სპორტი დიდ პატივშია ჩარშანგინის რაიონის სოფლებში. ყოველი მეშვიდე მცხოვრები კოლმეურნეობის ერთ-ერთ რომელიმე სექციაშია ჩაწერილი და მეკადინეობს მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, შაშში, სროლაში, ველოსპორტში, ეროვნულ ჭიდაობა „გორეშში“...

ფიზკულტურა შრომაში ერთგულ მეკავშირედ იქცა ათასობით ბამბის მოსავლის ოსტატისთვის, მესაქონლისთვის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტისთვის. სპორტს ოც წელზე მეტია მისდევენ მექანიზატორები ა. იუსუპოვი, კ. მურადოვი, ვეტერინარი ჩ. ხაზრატკულოვი (კიროვის სახელობის კოლმეურნეობა), კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი მ. როზიყულოვი, კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიკოსი ა. იმამოვი და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით პოპულარულია ეროვნული ჭიდაობა. არც ერთი სახალხო დღესასწაული არ ტარდება ფალავანთა მონაწილეობის გარეშე. კოლმეურნე მოჭიდავეთა შეჯიბრება საინტერესო სანახაობად იქცევა ხოლმე.

ფალავანთა რაიონული ჩემპიონატებიდან გაიკაფეს გზა დიდ სპორტში საკავშირო სასოფლო თამაშების მესამე პრიზიორებმა კ. ტურდიევმა, ტ. ნარეპმედოვმა, რესპუბლიკის ჩემპიონებმა თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში ე. დელაკოვმა, ა. იმამოვმა, ჯ. ოდაევმა და სხვ.

— ჩვენი რაიონის მოჭიდავეთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია რესპუბლიკაში, — ამბობს „კოლხოზჩის“ ჩარშანგინის რაისაბჭოს თავმჯდომარე კ. ტურდიევი. — ახლა კი ვზრუნავთ, რომ სახელოვან სპორტსმენებს ღირსეული ცვლა გავუზარდოთ. სპორტსკოლას აქვს კარგი ინვენტარი და აღჭურვილობა. ამ სკოლაში მეცადინეობის მსურველი ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე მიღება შეგვეძლო. იძულებული გავხდით მისაღები გამოცდები მოგვეწყო. შევარჩიეთ 163 ნიჭიერი ბავშვი კოლმეურნეობებიდან. ბიჭების მომზადება უმაღლესი განათლების მქონე მწვრთნელებს დავავალეთ.

ვ. კრაშენინიკოვი.
(საკადესის კორ.).

აშხაბადი.

გაიმარჯვეს ცხრაწყაროელებმა

ამას წინათ ცხრაწყაროს სპორტულ ბაზებზე, რომლებიც სოფლის ახალგაზრდებმა საკუთარი ძალებითა და სახსრებით მოაწყვეს, გაიმართა მეგობრული შეხვედრა ადგილობრივი საშუალო სკოლისა და ტყიბულის მე-19 პროფტექნიკური სასწავლებლის ზესტაფონის ფილიალის მოსწავლეთა შორის. შეჯიბრება ექვს სახეობაში მოეწყო. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში, სტუმრებმა — კალათბურთსა და შაშში. შეხვედრა ფეხბურთში ფრედ დამთავრდა — 3:3.

ამხანაგური შეხვედრა საინტერესო იმითაც იყო, რომ მეტოქეები შეეჯიბრნენ ერთმანეთს. მშდ კომპლექსის ზოგიერთ სახეობაში — რბენაში, ხტომასა და ტყორცნაში. 30-მდე მოსწავლემ ნორმატივები ჩააბარა.

ა. ბანუზრავა.
(ჩვენი კორ.).

სოფ. ცხრაწყარო, ზესტაფონის რაიონი.

მოსკოვი. დედაქალაქის „ფილის“ რეგბისტებმა ბოლო შეხვედრაში ანგარიშით 10:0 დაამარცხეს მოსკოვისავე „ავტომობილისტი“ და მეოთხედ მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონობა.

სურათზე: „ფილის“ გუნდი — სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი. სხედან (მარცხნიდან) — ლ. კულებიაკინი, ბ. ივაშოვი, ე. ისიანოვი, ი. კიიანოვი, ნ. გავრილოვი, ი. მორონოვი, ნ. ევსეევი, ა. სამოზვანოვი, ა. სალავატოვი, გ. დროეინი, ა. კუდრიაშოვი; დგანან — გუნდის მწვრთნელი ს. ჩეჩენკოვი, ი. კარპუხინი, ა. კურიჩკინი, ა. კაჩანოვი, ა. სევასტიანოვი, ი. ლიხაჩოვი, მ. გრაუდანი, ვ. ლარინი, ო. კაპიტონოვი, ა. ვანიუშკინი, ს. იურიევი, ბ. იუდინი, ა. ფიოდორიკი, ვ. ვინოგრადოვი, ე. შუანდერი და გუნდის უფროსი მწვრთნელი ბ. გავრილოვი.

ბ. იაკოვლევის ფოტო. (საკადესი).

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

ოთხი ლიდერი

ლენინგრადი, 31 ოქტომბერი. ადგილობრივი „სპარტაკისა“ და კიევის „სტროიტელის“ კალათბურთელთა მეორე შეხვედრაც ნევისპირელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა, ისევე როგორც პირველ მატჩში, საუკეთესო მოთამაშე ახლაც ლენინგრადელთა ცენტრალური თავდამსხმელი ა. ბელოვი იყო. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ „სპარტაკმა“ მთელი 20 ქულის უპირატესობით გაიმარჯვა — 92:72 (47:35).

ლენინგრადელებმა ორივე მატჩი მოუგეს მეტოქეს საერთო ანგარიშით 195:157 და სამ გუნდთან ერთად ლიდერობენ. 2-2 ქულა აქვთ, აგრეთვე, მოსკოვის დინამოელებს (დაამარცხეს „ურალმაში“ საერთო ანგარიშით 187:129), ცსკა-ს (მოუგო ვილნიუსის „სტატიბას“ — 196:158) და თბილისის „დინამოს“ (დაამარცხა მინსკის რტი — 190:174).

ფართოდ გავშალოთ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა; ვიზრუნოთ, რომ საქართველოს ფიზკულტურელებს წვრთნისა და დასვენებისთვის სათანადო გაზები ჰქონდეთ!

დღეს — ოცნება, ხვალ — სინამდვილე

ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში სპორტის 11 სახეობას ძისდევენ და გარკვეული წარმატებებიც აქვთ მოპოვებული, მაგალითად, წლეულს ნატანებელმა ფიზკულტურელებმა, რაიონულ სპარტაკიადაში საერთო 11 ადგილი დაიკავეს, ჭიდაობასა და ძალოსნობაში კი ჩემპიონები გახდნენ. დღეისთვის რაიონის ნაკრებ გუნდში 26 ნატანებელი სპორტსმენია შეყვანილი.

სოფლის სპორტსმენთა წარმატებას ისიც განაპირობებს, რომ მათს განკარგულებაშია ფრენბურთის 18, კალათბურთის 5, ხელბურთის 2 მოედანი, აგრეთვე, 2 სფენბურთი მინდორი. დიდი ყურადღება ექცევა მშდ კომპლექსის ფართოდ დახარგვას. წლეულს კოლექტივმა მოამზადა ერთი სპორტის ოსტატი (კლასიკურ ჭიდაობაში), 11 პირველთანრიგოსანი, მეორე და მესამე თანრიგების 100-ზე მეტი სპორტსმენი.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი როდია, რომ ნატანებელმა ახალგაზრდებმა გადწყვიტეს საკუთარი ძალებით დაიწყონ სპორტული დარბაზის მშენებლობა. ამ დარბაზში საკვშირო მნიშვნელობის შეჯიბრებებიც ჩატარდება.

ახალგაზრდობის თაოსნობა მთელმა სოფელმა მოიწონა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ნიკოლაიშვილმა წინადადება წამოაყენა, რომ ყოველდღიურად 3 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი მოეკრიფათ. პირველი ხარისხის ხვედრითი წილი 7 პროცენტით გაედიდებინათ და ამ „ზით მიღებული თანხა მშენებლობისთვის გამოეყენებინათ. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი გ. წოთლიძე) მხარი დაუჭირა თაოსნებს და მშენებლობაც გაჩაღდა.

მშენებლებს (დარბაზს აშენებს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამტრედიის № 2 ტრესტი. მმართველი ა. დახუნდარიძე) მხარში სოფლის ახალგაზრდებიც ამოუდგნენ.

სპორტული დარბაზი 500 მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული. იგი აღჭურვილი იქნება თანამედროვე ინვენტარით, ელექტრომოწყობილობით და ტელე-რადიოგადაშვებებით, რათა შესაძლებელი იყოს რეპორტაჟების მოწყობა დარბაზებიდან.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. წოთლიძე ფიქრობს, რომ შეიძლება დარბაზი შემდეგ სპეციალიზებულ სპორტულ სკოლადაც გადაკეთდეს, სადაც მეზობელი სოფლების ახალგაზრდებიც იმეცადინებენ. აქ ყველა პირობა შეიქმნება კარგი სპორტსმენების აღსაზრდელად. ალბათ ამ საკითხით რესპუბლიკის სპორტკომიტეტი და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოც დაინტერესდებიან. თუ ასე გადაწყდა, მაშინ ახალი დარბაზის საკლასო ოთახები სკოლას ერთაცლიან მეცადინეობაზე გადასვლის საშუალებას მისცემს, შეჯიბრების პერიოდში კი ეს ოთახები სასტუმროდ იქნება გამოყენებული.

ნატანებელი ფიზკულტურელები შაბათობებს აწყობენ და თავიანთი აქტიური მონაწილეობით მშენებლობას აჩქარებენ. საჭიროა, რომ მშენებლობას საშენებლო მასალები და მუშახელი არ მოაკლდეს. „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ აქედანვე უნდა იზრუნოს დარბაზის სპორტული იარაღებით აღჭურვისთვის.

ნატანების სპორტული დარბაზის პროექტის ავტორია მ. ჯანბერიძე. პროექტი დამუშავებულია „საქქალაქმშენსაპროექტში“ (მთავარი კონსტრუქტორი ი. აზმაიფარაშვილი).

ამბობენ, მონდომება საქმის ნახევარიაო. თუ გუშინ ნატანებელი ახალგაზრდობისთვის სპორტული დარბაზი ოცნება იყო, ხვალ ეს ოცნება სინამდვილედ იქცევა.

ჯ. ჯელიძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ნატანები,
ზესტაფონის რაიონი.



ფასადი ქუჩიდან.



უკანა ფასადი.

საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა

„კოლმეურნე“ და „ბურევესტნიკი“

თბილისში გაიმართა ფრენბურთელ ქალთა და კაცთა გუნდების შეჯიბრება.

ქალთა ექვს გუნდში ყველას ჯობდა „კოლმეურნის“ წარმომადგენლებმა, რომლებმაც თავიანთს ჯგუფში მოუგეს „სპარტაკს“ (3:0) და „განთიადს“ (3:1). მეორე ჯგუფში „ბურევესტნიკმა“ ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხა „ვოდნიკი“ და „ლოკომოტივი“. დაძაბული ბრძოლა გაიმართა ამ ორ გუნდს შორის. პირველ ორ პარტიაში „კოლმეურნემ“ გაიმარჯვა — 15:13, 15:11. მესამე პარტია ბურევესტნიკელებმა მოიგეს — 15:11, ხოლო მეოთხეში კვლავ „კოლმეურნემ“ იმარჯვა (15:9) და სპარტაკიადის ჩემპიონიც გახდა.

ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში „ბურევესტნიკმა“ ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხა „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“ (3:2) და ჩემპიონობა მოიპოვა.

ნ. კოტრიკაძე.

„განათლებამ“ გამოსცა

გამომცემლობა „განათლებამ“ (დირექტორი ხ. ბერულავა) ამას წინათ გამოსცა ოქნგზ გიორგაძის „ჭადრაკის ანბანი“ და მეთოდური ბიულეტენის „ჭადრაკის“ № 6-7.

„ჭადრაკის ანბანის“ მიზანია დაეხმაროს მოჭადრაკეს გაეცნოს ამ თამაშის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, თეორიის საფუძვლები, დიდი მოჭადრაკეების ცხოვრება. იგი წარმოადგენს, აგრეთვე, დამხმარე სახელმძღვანელოა მწვრთნელებისთვის. ანბანი აგებულია თამაშის პრაქტიკული სწავლების პრინციპით.

ანბანის პირველი გამოცემა 1965 წელს დაისტამბა. მეორე გამოცემისთვის ავტორმა გაითვალისწინა მკითხველთა შენიშვნები.

წიგნი გამოვიდა მასობრივი ტირაჟით (40 ათასი ცალი).

შეთოდური ბიულეტენი „ჭადრაკი“, რომელიც 1971 წლიდან გამოდის, მრავალფეროვან მასალას სთავაზობს მკითხველს. აქ დაბეჭდილია წერილები ბირველი ქართველი ოსტატის ვ. გოგლიძის, თბილისში ჭადრაკის სასახლის გახსნის, მსოფლიო პირველობის ბრეტენდენტთა ბრძოლის, ოლიმპიადა საერთაშორისო ტურნირში ნ. გაფრინდაშვილის მონაწილეობის, საქართველოს ქალთა და ვაჟთა პირველობების შესახებ, კომპოზიციისა და საჭადრაკო ცხოვრების ბევრ სხვა საინტერესო საკითხებზე.

სამწუხაროდ, „ჭადრაკის“ ეს ნომერი დიდი დაგვიანებით გამოვიდა და მასში ძირითადად შარშანდელ შეჯიბრებათა შესახებ არის საუბარი.

ც. ფცქიალაძე.



დაისახა ღონისძიება

გაიმართა დოსაფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის III კონფერენცია.

სამი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა დოსაფის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ლემონჯავა. სარევიზიო კომისიის ანგარიში დამსწრეთ გააცნო ამ კომისიის თავმჯდომარემ ლ. გაბუნიამ.

ითქვა, რომ დოსაფის ზუგდიდის საქალაქო ორგანიზაციამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მოსახლეობის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარების, სპორტსმენ-თანრიგოსნებისა და მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმების შესრულებისთვის ბრძოლაში.

მხედველობიდან არც ნაკლოვანებები გამორჩენიათ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: დ. შამათავამ (ეკონომიკურ ფაკულტეტის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი), ი. გელენავამ (საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების გამგე), ხ. შარაშენიძემ (სამხედრო კომისარიატი), ნ. შურლაიამ (ქალაქის სპორტკავშირი), ა. მიშველიანმა (ენგურჰესალდგომბინატის დოსაფის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე), ი. ჩემინავამ (მე-3 საშუალო სკოლა), ა. გრიგორიევმა (მე-4 საშუალო სკოლა), ზ. კუკავამ (ტირის ინსტრუქტორი).

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების უფროსი ა. ბარათაშვილი.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. კვარაცხელია. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ქუჩულორია, კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ლაშხია.

დოსაფის საქალაქო კომიტეტის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის დაისახა ღონისძიებანი. აირჩიეს კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი.

დოსაფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია შ. ლემონჯავა, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ს. ზიკოვი.

ბ. ალშიბაია.

(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

VI
სპარტაკიადა
თბილისი

სამეულის მიღმა... არავინ დარჩენილა

თბილისის ზღვაზე ორ დღეს გაგრძელდა შეჯიბრება ავადმყოფურ ნიჩბოსნობაში. მონაწილეებს მშვენიერი ამინდი დაუდგამ, მაგრამ იმის გამო, რომ ასპარეზობაში ქალაქის ყველა სპორტსაზოგადოებისა და უწყების გუნდები არ გამოვიდნენ, ზოგიერთ სახეობაში სარბიელზე მხოლოდ თითო ნავი ვეხილეთ და, ცხადია, ბრძოლაც უინტერესო იყო.

დებულების თანახმად, თითოეულ გუნდს 54-კაციანი კოლექტივის გამოყვანის უფლება ჰქონდა. სინამდვილეში კი სტარტზე ძხოლოდ „ბურევესტნიკის“, „განთიადისა“ და ასკ-ს 58 სპორტსმენი გამოვიდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში „ბურევესტნიკს“, რომელმაც 24 ნიჩბოსანი გამოიყვანა, არჩიის სპორტლუების 18-კაციანმა ნაკრებმა აჯობა. „განთიადი“ III ადგილზე დარჩა. ერთი სიტყვით, არც ბრად და არც გუნდურ ჩათვლაში საბრძოლო ადგილების გარეშე არავინ დარჩენილა.

საინტერესოა, რატომ არ. ზიიღეს მონაწილეობა ასპარეზობაში თბილისის სხვა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპორტსმენებმა? ამ შეჯიბრებას ხომ ქალაქის ნაკრების კანდიდატები უნდა შეერჩია, რომლებიც გაისად საქართველოს სპარტაკიადაში ეასპარეზებენ.

ტექნიკური შედეგები

ქალები. 1000 მ. ერთადგილიანი. ნ. ლავრელაშვილი („განთიადი“) — 4.44,0; **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** „ბურევესტნიკი“ — 4.00; **ორადგილიანი უმესაჭო გასაშლელი.** „ბურევესტნიკი“ — 4.05,0; **ოთხადგილიანი მესაჭით.** „განთიადი“ — 4.20,0; **რვაადგილიანი.** „განთიადი“ — 4.13,0.

კაცები. 2000 მ. ერთადგილიანი. ი. თათარაშვილი (ასკ) — 9.20,0, ბ. ტყვშელაშვილი („განთიადი“) — 9.22,0, მ. ხურციძე („ბურევესტნიკი“) — 9.41,0; **ორადგილიანი უმესაჭო.** „ბურევესტნიკი“—9.01,0, ასკ — 9.23,0; **ორადგილიანი მესაჭით.** ასკ — 9.41,0, „ბურევესტნიკი“ — 9.52,0; **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** ასკ—8.20,0, „ბურევესტნიკი“ — 8.40,0; **ოთხადგილიანი მესაჭით.** ასკ — 8.11,0, „ბურევესტნიკი“ — 8.30,0, „განთიადი“ — 9.02,0; **ოთხადგილიანი უმესაჭო.** ასკ — 7.53,0, „ბურევესტნიკი“ — 8.02,0; **რვაადგილიანი.** ასკ — 6.15,0, „ბურევესტნიკი“ — 6.21,0.

დ. კიკნაველიძე.

„რაზე ყიყინებენ გაუაუები“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 28 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი იყო ფელეტონი, რომელიც ეხებოდა ქუთაისში, ლენინის პროსპექტზე განათლების სამინისტროს დაკვეთით გახსულ წლებში დაწყებული და შემდეგ უპატრონოდ მიტოვებული საცურაო აუზის ხავალალო მდგომარეობას.

როგორც ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სახბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გოდუაძემ გვაცნობა, ფელეტონში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერებოდა. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე ქუთაისში შექმნა კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, რომელსაც დაევალა განათლების სამინისტროს ობიექტების მშენებლობის ხელმძღვანელობაც. ამ სამმართველომ ზემდგომ ორგანოებში წარადგინა მომავალი წლის კაპიტალურ მშენებლობათა გეგმა, სადაც ზემოაღნიშნული საცურაო აუზის დამთავრებაც არის გათვალისწინებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემზადოთ სსრ კავშირის

ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

სანაქებო მასპინძლობა

საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში გუდაუთაში ჩატარდა. ცნობილია, რომ დიდი სპორტული აღპარეზობის მასპინძლობის უფლება არცთუ ადვილი მოსაპოვებელია. ცხადია, საკმაოდ არც რესპუბლიკური ღონისძიების ჩატარება შეიძლება. როცა საქმე შეჯიბრების ადგილის შერჩევაზე მიდგება ხოლმე, ყველაფერს უნდა გაეწიოს ანგარიში. ამ საკითხში წვრილმანი არაფერია: სტუმრების მიღებადანავებიდან მათს გასტუმრებამდე ყველაფერი მთავარი და მნიშვნელოვანია. ჩვენც ამიტომ ვამახვილებთ ყურადღებას ერთ კონკრეტულ მაგალითზე.

ზემოხსენებული ჩემპიონატის მასპინძლობისთვის გუდაუთას ბევრმა ფაქტორმა გაუწია რეკომენდაცია. ამ რაიონში დღემდე არ გაქრალა ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების სიყვარული. სწორედ ამან განაპირობა, რომ გუდაუთელმა მეზრომელებმა რაიონის ცენტრში საჭირველი ჩაუყარეს შესანიშნავ იპოდრომს და მშენებლობაც სწორედ ჩემპიონატისთვის დაამთავრეს. მასპინძლებმა ჩინებულად გაართვეს თავი მოვალეობას. პარტიის რაკომმა, აღმასკომმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი იღონეს შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

გუდაუთაში ეამართულმა რესპუბლიკურმა პირველობამ მარტო რაიონის სპორტის მოყვარულებისა და ამ საკურორტო ქალაქის დამსვენებლებისა ინტერესი როდი გამოიწვია, შეჯიბრებაზე უამრავი ხალხი ჩამოვიდა მეზობელი რაიონებიდან. ქალაქის ქუჩებში გამოკრულმა სარეკლამო ტილოებმა, ასპარეზობის საზეიმოდ გახსნამ, გამარჯვებულთა დაჯილდოებამ ჩოხა-ახალუბში გამოწყობილი ბავშვების მონაწილეობამ სილამაზე შემატა შეჯიბრებას.

ასპარეზობას არაფერი დააკლეს ჩემპიონატის ორგანიზატორებმაც. მრავალსმეტყველია ის ფაქტი, რომ ნათ ბირად პირველობაში მონაწილეობისთვის სომხეთის უძლიერესი ცხენოსნებიც მოიწვიეს. ცხადია, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ასეთი ღონისძიება ორივე რესპუბლიკის ცხენოსნებისთვის სასარგებლოა.

მოწვეული არბიტრების მაღალმა კვალიფიკაციამ გასაპირობა უნაკლო მსაჯობაც. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში მსაჯობის სურვილი გამოთქვეს ზღვისპირა კურორტებზე დასასვენებლად ჩამოსულმა ცხენოსნობის სხვა სპეციალისტებმაც. კიდევ ერთი დეტალი: ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში სამჯერ ყველაზე რთული სახეობაა. უფრო სწორად, ეს არის საველე გამოცდა (კროსი). კროსის ტრასის შედგენაში, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ამ სახეობაში ყველაზე გამოცდილი სპორტსმენები მონაწილეობენ. თავის დროზე ამ საქმის დიდი სპეციალისტი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი შ. აფციაური, რომელსაც საკვლევი ასპარეზობის ტრასის მოსაწყობადაც ხშირად იწვევდნენ. ეს კარგი ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და სამჭიდელთა ტრასა ახლახან ინგლისში გაართული მსოფლიო პირველობის მონაწილის, სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი სამჯდელის ვ. კალინინის მიერ შემუშავებული მარშრუტით მოეწყო.

აქვე ვიტყვით, რომ უფრორი ასაკის ცხენებით ამ სახეობაში ამჯერად 28 სპორტსმენი ასპარეზობდა. ეს იყო სარეკორდო ციფრი, ჯინიანდან აგერ შვიდ ათ წელზე მეტია ამის ნახევარიც არ გამოსულა სამჭიდში ხაზპარეზოდ.

ხარეკორდო იყო მეორე მაჩვენებელიც: ფინიშამდე 9 მხედარმა მიაღწია. გამარჯვება წილად ხვდა თბილისელ ბ. კუზმინს, რომელსაც სამჭიდის ჯამში 172,5 საჯარიმო ქულა დაუგროვდა. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს გუდაუთელმა ა. თარბამ (184,6) და ზუგდიდელმა გ. კოჩიანმა (192,55).

ასევე საინტერესოდ წარიმართა ბრძოლა ამაყე სახეობაში ახალგაზრდა ცხენებით ასპარეზობაში. ჩემპიონობა მოიპოვა თბილისელმა მ. ტატიშვილმა — 76 საჯარიმო ქულა. მას მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა ერევნელი ვ. გორბანი, III ადგილზე კი თბილისელი ზ. დუნდუა (86,5) გავიდა.

ცნობილი ქართველი ცხენოსნის მალუხუ ერისთავის სახელობის პრიზის მოსაგებად დაბრკოლებათა გადალახვაში ყველა გუნდის სანუკვარი ოცნებაა. დღემდე ეს პრიზი ორჯერ ქონდათ მოპოვებული ცხაკიელებს, თითოჯერ — სოხუმელ და ზუგდიდელ ცხენოსნებს. თბილისელებმა, რომელთა გუნდშიც ბეკრჯერ გამოსულა მ. ერისთავი, პირველად წლეულს მიიდეს ეს ჯილდო.

მაღალი იყო სპორტული შედეგებიც. თბილისელმა ქალიშვილმა თ. ხეიძემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი ისეთ აკადემიურ სახეობაში, როგორიცაა ცხენის გაწვრთნა „დიდ პრიზზე". თამარმა „სამუალო პრიზზე" შეჯიბრებაშიც რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა, „მცირე პრიზზე" ასპარეზობაში კი მეორე იყო. შეჯიბრების მონაწილეთაგან ნახევარმა პირველი თანრიგის, სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და სპორტის ოსტატის ნორმატივები გაიმეორა.

გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა (საცხენოსნო ბაზის დირექტორი რ. კორძაია) — 395,8 ქულა, II ადგილზე გავიდა გუდაუთელთა გუნდი (262), III — ოჩამჩირელთა კოლექტივი (182). აღსანიშნავია, რომ თბილისელებმა ყველა გუნდური და ნ პირადი I ადგილი მოიგეს.

გთავაზობთ პირადი პირველობის პრიზიორთა შედეგებს: **დაბრკოლებათა გადალახვა.** „**მცირე პრიზი**": 1. კ. ზასარიანი (ერევანი), 2. მ. ლაბაშია (გალი), 3. კ. გამბაიაზოვი (თბილისი. ხამიევ — უჯარიმოდ). **ძალისმიერი:** 1. ლაბაშია (უჯარიმოდ), 2. გაზბიანაზოვი — 4 საჯარიმო ქულა, 3. ი. ბარათელია (ოჩამჩირე) — 8. **ამორჩევით:** 1. ვ. ბელი (ერევანი) — 100 ქულა, 2. ნ. სიმონია, 3. ა. ლაკერბაია (ორივე — გუდაუთა) — 96-96 ქულა. **საქართველოს თასი.** 1. ბარათელია — 8 საჯარიმო ქულა, 2. ბ. მოლდოვანი (გულრიფში) — 12, 3. ნ. ტატიშვილი (თბილისი) — 16. **ცხენის ბაზრობა: „მცირე პრიზი".** 1. ნ. სიტკო — 726 ქულა, 2. თ. ხეიძე — 701 (ორივე — თბილისი), 3. დ. კვარჩელია — (გუდაუთა) — 682. **„ხაშუალო პრიზი".** 1. ხეიძე — 675, 2. სიტკო—659, 3. ი. კოხინა (თბილისი)—579. **„დიდი პრიზი".** 1. ხეიძე — 1058, 2. კვარჩელია — 984, 3. ო. ნარმანია (ოჩამჩირე) — 870. **ბოლოჟერობა.** 1. ნ. ლაბაშია — 7,7 ქულა, 2. ბ. კუზმინი — 7,2, 3. ზ. დუნდუა (სამივე — თბილისი) — 7,0.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ გუდაუთის, გულრიფშის, გალის, სოხუმის, ოჩამჩირის, ცხაკაიას, ზუგდიდისა და თბილისის კოლექტივები.

თ. გაჩეჩილაძე.

სერიოზული საკვეზები

აფხაზეთში ფეხბურთის მდგომარეობის შესახებ

უმეოცნობების შედეგები

გაგრა

სტატისტიკური მონაცემებით, ქალაქში 73 საფეხბურთო სექციაა, რომლებიც 1324 ფეხბურთელს აერთიანებენ, მათგან 685 (32 სექცია) უფროსი ასაკის ფეხბურთელია, ხოლო 639 (41 სექცია) — მოსწავლე.

უფროსი ასაკის ფეხბურთელები გაერთიანებული არიან მემდეგ სპორტულ საზოგადოებებში:

1) „**კოლმეურნე**" — 326 კაცი (15 სექცია), მაგრამ მოქმედი გუნდები ქყავთ მხოლოდ ორჯოხიკიძის სახელობის, ხეკენისა და ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში, კალინინის სახელობის, „სიხარულის" და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე, მეფრინველეობის ფაბრიკაში, ესე იგი, ანგარიშებში გაფორმებული 15 სექციიდან — მხოლოდ შვიდში.

2) „**სპარტაკი**" — 130 კაცი (3 სექცია). საზოგადოების არც ერთი გუნდი ამჟამად გათამაშებაში არ მონაწილეობს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფეხბურთის ჩამორჩენა № 2660 ავტოკოლონაში, რომელსაც ყოველთვის კარგი გუნდი ქყავდა. სხვათა შორის, იქ დაწყეს თამაში გ. სიჭინავამ და ვ. ხარქაიამ.

3) „**განთიადი**" — 184 კაცი (10 სექცია). ფაქტიურად თამაშობენ მხოლოდ ხორეკომბინატისა და № 18 საშენებლო ტრესტის გუნდები.

4) „**ლოკომოტივი**" — 45 კაცი (3 სექცია). არც ერთი მოქმედი გუნდი არ ქყავთ.

გაგრელმა სპორტის მესვეურებმა მთელი ძალ-ღონე უნდა მოიკრიბონ, რათა სული შთაბერონ ამ სექციებს, სადაც საფეხბურთო ცხოვრების მაჯისცემა ძლივსღა იგრძნობა.

კალენდარი

მაისში „კოლმეურნემ" თავისი თასის გათამაშება ჩაატარა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 გუნდი. გაიმარჯვა ხეკენის კოლმეურნეობის კოლექტივმა. II ადგილზე გავიდა ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის გუნდი.

აგვისტოში ქალაქის თასის გათამაშება მოეწყო. შეჯიბრების მონაწილე 8 გუნდს შორის ყველას მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივი ჰგავდა, II ადგილზე კვლავ ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელები აღმოჩნდნენ.

ივლისში გაიმართა ქალაქის პირველობა (ერთ წრედ). თამაშობდა 7 გუნდი. I ადგილი მოიპოვა მეფრინველეობის ფაბრიკამ, II — ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ, III — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ.

ამას გარდა, აფხაზეთის პირველობასა და თასის გათამაშებაში მონაწილეობდა № 16 საშენებლო ტრესტი (პირველობაში მან II ადგილი დაიკავა).

ბავშვთა და მოზარდთა პირველობები. „**ტყავის ბურთი**". უმცროსი და უფროსი ასაკის ჯგუფებში 5-5 გუნდი გამოდიოდა. პირველ ჯგუფში გაიმარჯვა 1-ლი სკოლის მიკრორაიონის გუნდმა, მეორეში — დაბა განთიადის კოლექტივმა, რომელმაც შემდეგ II ადგილი მოიპოვა აფხაზეთის პირველობაში.

ქალაქის სასკოლო პირველობა. გათამაშება ერთ წრედ ჩატარდა. 21 გუნდი სამ ზონად იყო დაყოფილი.

იამანიძის სახელობის თასის გათამაშება. ჩატარდა 16-17 წლის ბიჭუკებისთვის იანვარში. მონაწილეობდა სხვადასხვა ქალაქის 8 გუნდი, მათს რიცხვში—გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა და სოხუმის „დინამო".

ჩატარებული შეჯიბრების დოკუმენტაცია (დებულებები, განაცხადები, ოქმები, დასკვნითი ცხრილები) მოწესრიგებულია. გამონაკლისია მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: გუნდების განაცხადებს ექიმები საჭიროებისაებრ არ ამოწმებენ. ეს კი დაუშვებელია.

საფეხბურთო სკოლები. ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლაში 2 ჯგუფია (მწვრთნელი წიწორია). ამას გარდა, 2 ჯგუფი ქყავს ადგილობრივ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლას.

პროგრამასთან შედარებით აქ სასწავლო გეგმაში მეცადინეობების წლიური მოცულობა მნიშვნელოვნადაა შეკვეცილი (378 და 504 საათი 416 და 624 საათის ნაცვლად). ამასთან, საზაფხულო არდადეგებს ეს სკოლა ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებთან ერთად ატარებს, ხოლო ზამთრობით კი თითქოს მეცადინეობს. შეუძლებელია, რომ ერთიც და მეორეც უარყოფითად არ მოქმედებდეს ბავშვებისთვის ფეხბურთის სწავლებაზე.

ფეხბურთის ფედერაცია (თავმჯდომარე რ. ზარტარია), ისევე როგორც ყველგან, ფაქტიურად არ მუშაობს.

სოხუმი

22 მაისიდან 13 ივნისამდე ჩატარდა ქალაქის პირველობა ფიზიკური კულტურის კოლექტივთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილი. I ადგილი დაიკავა № 5 ავტოტრანსტამ, II — სფტი-მ, III — თვეზის კომბინატმა.

25 ოქტომბერს უნდა დაწყებულიყო შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის" პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი 8 კოლექტივმა გამოთქვა.

ჩატარდა ქალაქის სასკოლო პირველობა.

გათამაშდა ქალაქის პირველობა ეზოების გუნდებს შორის („ტყავის ბურთი").

აფხაზეთის ასსრ მთლიანოგაში

საერთო მონაცემები ფეხბურთელთა შესახებ

	სულ			მათ რიცხვში მოსწავლეები		
სოხუმი	— 51	სექცია,	1354 კაცი	12	სექცია,	297 კაცი
გაგრა	— 73	„	1324 „	41	„	639 „
ტყვარჩელი	— 28	„	686 „	8	„	221 „
ოჩამჩირის რ-ნი	— 66	„	3003 „	46	„	828 „
გალის რ-ნი	— 83	„	2057 „	73	„	1082 „
გულრიფშის რ-ნი	— 39	„	903 „	21	„	455 „
სოხუმის რ-ნი	— 31	„	694 „	15	„	288 „
გუდაუთის რ-ნი	— 50	„	1088 „	28	„	620 „
ჯამი	— 421	„	11109 „	225	„	4818 „

მათს რიცხვში: „**სპარტაკი**" — 42 სექცია, 899 კაცი, „**განთიადი**", შესაბამისად — 42 და 939, „**დინამო**" — 3 და 286, „**კოლმეურნე**" — 128 და 2847, „**ლოკომოტივი**" — 14 და 228, „**შრომითი რეზერვები**" — 2 და 45, **განათლების განყოფილება** (მოსწავლეები) — 225 და 4818.

აფხაზეთის სპორტული მუშაკები განსაკუთრებით უჩივიან ფეხბურთის საავალალო მდგომარეობას გუდაუთის რაიონში, რომელიც აგერ უკვე 5 წლის მანძილზე არც ერთ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს. მაგრამ, როგორც შემოწმებით დადასტურდა, სტატისტიკური ცნობები არსად არ შეეფერება სინამდვილეს.

აფხაზეთის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. სულ მეცადინეობს 29 საფეხბურთო ჯგუფი, 504 კაცი. მათგან სოხუმში 7 ჯგუფი და 132 კაცია, გაგრაში — 2 და 39, ტყვარჩელში — 3 და 48, ოჩამჩირის რაიონში — 5 და 84, გალის რაიონში — 3 და 50, გულრიფშის რაიონში — 2 და 32, სოხუმის რაიონში — 3 და 58, გუდაუთის რაიონში — 4 და 60.

ორგანიზაცია, რამდენადაც ვიცით, არსებობს.

საქართველოს პირველობის II ჯგუფში თამაშობენ ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის გუნდი „გულრიფში" და გალის რაიონის „მზიური".

აფხაზეთის პირველობა (ჩატარდა 18/V-5/IX). ასპარეზობაში მონაწილეობდა 8 გუნდი, რომელთაგან ერთი (ოჩამჩირის რაიონის მეკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა) გამოუცხადებლობის გამო შეჯიბრებიდან მოიხსნა. I ადგილზე გავიდა სპი (სოხუმი), II — № 16 საშენებლო ტრესტი (გაგრა), III — სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

ფიზკულტურის კოლექტივების თასის გათამაშება (10/III-31/III). თამაშობდა 10 კოლექტივი. გამოუცხადებლობის გამო მოიხსნა 2 გუნდი. გაიმარჯვა ტყვარჩელის № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს გუნდმა.

მარდანიას სახელობის თასის გათამაშება. შეჯიბრება 12 ოქტომბერს დაიწყო. თასისთვის 8 გუნდი იბრძის. „სოხუმელი-საწყოს" № 16 ტრესტის გუნდების განაცხადებში ექიმების ხელმოწერები ბევრით კვლავ არ არის დამოწმებული.

აფხაზეთის მოსწავლეთა სპარტაკიადა. გაიმარჯვეს სოხუმის ფეხბურთელებმა. საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაში მათ V ადგილი დაიკავეს, რაც არ შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს.

„**ტყავის ბურთი**". უფროსი და უმცროსი ასაკის ჯგუფებში 8-8 გუნდი გამოდიოდა. უფროსი ასაკის ჯგუფში I ადგილზე გავიდა „რაფუგა-74", უმცროსი ასაკის ჯგუფში „ციხარტყელა" (ბალი). საქართველოს პირველობაში „რაფუგა-74"-მა I ადგილი მოიპოვა. შემდეგში იგი საკავშირო პირველობაში II ადგილზე გავიდა.

ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა აფხაზეთში სერიოზულ დაფიქრებას იწვევს. გარდატეხის მისალწევად, უპირველეს ყოვლისა, ბოლო უნდა, მოეღოს ფეხბურთის ბედისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას აფხაზეთის სპორტულ მუშაკთა მხრიდან. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყველგან, სადაც კი ვნახეთ, ძალიან იოლად ხსნიან შეჯიბრებიდან გუნდებს გამოუცხადებლობის გამო. ეს გუნდები ხომ საწარმოო კოლექტივებიდან არიან და ორგანიზატორებს უნდა ესმოდეთ, რომ მათს ასეთი სახით დასჯაში სიჩქარე არ არის საჭირო. პირიქით, ისინი უნდა ცდილობდნენ, რომ გუნდი გამოცხადდეს შეჯიბრებაზე, უნდა ფიქრობდნენ სპორტული დისციპლინის განმტკიცებაზე და ინტერესის გაზრდაზე არა მარტო თვით ფეხბურთელებში, არამედ ამ ორგანიზაციებშიც, სადაც ეს ფეხბურთელები მუშაობენ. საფეხბურთო მუშაობა კი თვითდინებით მიდის. „**განთიადის**" თავმჯდომარემ პირდაპირ განაცხადა, რომ ისინი ფეხბურთს არ ნერგავენ. მაშ ვინ უნდა იმუშაოს „**განთიადის**" იმ 42 სექციასთან, რომლებიც თითქმის ათას ფეხბურთელს ითვლიან?

აფხაზეთის სპორტკომიტეტისა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები საფეხბურთო საქმეებზე რაიონებში არ ჩადიან, ხელს არ უწყობენ იქ საფეხბურთო ცხოვრების გამოცოცხლებას. ისინი თვითნები ნებით გამოთიშნენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. მთავარი ამოცანა აქ ის არის, რომ ძალზე ზოგადი ხელმძღვანელობიდან გადავიდნენ ცოცხალ, კონკრეტულ, ყოველ ცალკეულ ფიზკულტურის კოლექტივამდე დაყვანილ ხელმძღვანელობაზე. ყოველივე ამას კი ვერ მიაღწევენ, სანამ უმოქმედოდ იქნება აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი, რომელიც 13 კაცსა და რამდენმე კომისიას ითვლის. მან მუშაობა თითქოს გამოაცოცხლა, როცა მუნდირის ღირსების დაცვის მოსაზრებებით გადაწყვეტა „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებულ გ. აკოფოვის წერილში ნოყვანილი ფაქტების უარყოფა. ამ წერილში გაკრიტიკებული იყო აფხაზეთის ფეხბურთში შექმნილი ვითარება. მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო სასარგებლო იქნებოდა ფაქტების უარყოფა მელნის დახმარებით კი არა, არამედ კარგი მუშაობით.

ბ. ჯეჯელავა,
საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ვ. ფლიკანი,
მეთოდური საბჭოს წევრი.

როგორც შარშან...

ქასპში სამ დღეს გაგრძელდა ქართულ ჭიდაობაში „**კოლმეურნის**" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობის ფინალური შეჯიბრება. ასპარეზობდნენ ზონებში I-II ადგილებზე გასული გუნდები.

ისევე როგორც შარშან, შეხვედრები წარმატებით ჩაატარეს შასპინძლებმა, რომლებმაც გუნდური I ადგილი დაიკავეს. II ადგილზეა თელავის კოლექტივი. III ადგილი გორელებს ხვდათ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: რ. ლაპარტელიანი (ლენტეხი), თ. ჯიღუაშვილი (გორი), ო. ხუტულაშვილი (ქასპი), თ. თეოდაშვილი (თელავი), ა. შეშაბერიძე (ქასპი), ზ. ბეკოლემიძე (გორი), თ. წითელაური (თელავი), ი. ელოშვილი (თელავი).

კ. ნუშიშვილი.

დასასრული. იხ. „ლელო" № 217.

მხოლოდ ოსტატები...

მოჭადრაკე ვაჟთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატის I ლიგის ტურნირში, რომელიც ოდესაში მიმდინარეობდა, ბრძოლა ფინიშზე უაღრესად დაიძაბა: უმაღლესი ლიგის სამ საგზურზე (მეოთხე საგზური ვადამდე მოიპოვა ლვოველმა ოსტატმა ო. რომანიშინმა) ექვს მოჭადრაკეს ეჭირა თვალი. საგზურები დასკვნითმა, XVII ტურმა გადაწყვიტა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ვ. სმისლოვს (მოსკოვი) მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, მაგრამ მის მეტოქეს, დიდოსტატ ვ. სავონს (ხარკოვი) წაგების უფლება არ ჰქონდა — I ლიგას გამოეთხოვებოდა. ამ ნერვულ ბრძოლაში სმისლოვი დამარცხდა. უმაღლეს ლიგაში ვერც უკრაინის სამგზის ჩემპიონი ლ. ალბურტი (ოდესა) მოხვდა. მას ფ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) გადაუღობა გზა. ამ გამარჯვების მიუხედავად, დიდოსტატი I ლიგას გამოეთხოვა.

ვ. ცეშკოვსკიმ (ომსკი), რომელიც წინადღით დამარცხდა აუტსაიდერ ვ. ჟურავლიოვთან (კალინინგრადი), ძალიან ნელი მოიკრიბა, თამამად შეუტია ნ. რაშკოვსკის (კურგანი) შეფეს და ფარ-ხმალი დააყრევინა. ამ მოგებით ცეშკოვსკიმ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

საგზურები მიიღეს ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი) და მ. დვორეცკიმაც (მოსკოვი). მათ ყაიმიც ჰყოფნიდათ, რასაც ადვილად მიაღწიეს; პირველმა — ი. კლოვანთან (რიგა), მეორემ — ა. ბელიავსკისთან (ლვოვი).

ამრიგად, ტურნირი ასე დამთავრდა: I. რომანიშინი — 12 ქულა, II-IV. ცეშკოვსკი, კუპრეიჩიკი, დვორეცკი — 10,5-10,5, V-VI. სმისლოვი, ი. ბალაშოვი (მოსკოვი) — 10-10, VII. ალბურტი — 9,5, VIII-XI. კლოვანი, გ. ლერნერი (ოდესა), ბელიავსკი, სავონი — 9-9, XII. რაშკოვსკი — 8, XIII-XIV. ბრონშტეინი, ჟურავლიოვი — 7-7, XV-XVII. ო. ავერკინი (სვერდლოვსკი), ი. რაზუვაევი (მოსკოვი), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — 6-6, XVIII. მ. პოდგაიეცი (ოდესა) — 4.

პირველ ოთხ ადგილზე გასული მოჭადრაკეები წლეულსვე უმაღლესი ლიგის ტურნირში ითამაშებენ, V-X ადგილებზე გასულნი გაიხადენ I ლიგის შეჯიბრებაში გამოვლენ.

ილუზიანი ბილეთები

სპორტული ლატარიის მოყვარულთაგან ბევრი ყველა ტირაჟში ერთსა და იმავე ციფრებს ელის ბილეთებზე. შეხვედრილია, რომ ასეთი სიმტკიცე, ისევე როგორც საერთოდ ცხოვრებაში, დაუჯილდოებელი არ რჩება. ამ სტატიკის დასტურად გამოგვადგება თბილისის № 3 ტაქსომოტორის მერემონტის ი. ლონგურაშვილის მაგალითი, იგი ყველა ტირაჟში ერთსა და იმავე ციფრებს ელიდა ბილეთებზე. წარმატებამ არ დააყოვნა: 28-ე ტირაჟში ლონგურაშვილმა ისევ თავისი სისტემით ითამაშა და 6032 მანეთი მოიგო: „სპორტლოტო —2"-ის ერთ ბილეთზე გამოიცნო 5 ნომერი, ცხრაზე—4-4, ოცდათხუთმეტზე — 3-3.

იმავე ტირაჟში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ლ. ვამაგაშვილმა ერთ ბილეთზე გამოიცნო 5 ნომერი, ერთზე — 4, ცხრაზე — 3-3.

თბილისის მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორანტმა ნ. ჯიჯიაშვილმა „სპორტლოტოს" ტირაჟში ხუთი ნომერი გამოიცნო და 3338 მანეთი მოიგო.

25-ე ტირაჟში ხუთი ნომრის გამოცნობისთვის 5000 მანეთი მიიღო ტყიბულის მცხოვრებმა ზ. მესხმა. ლანჩხუთის რაიონის მთავარმა ინჟინერმა ი. ოსიძემ 27-ე ტირაჟში „სპორტლოტო-2"-ის ბილეთზე ხუთი ნომერი გამოიცნო და 1610 მანეთი მოიგო.

ხდება ისიც, რომ დიდი მოგება მოულოდნელად გაახარებს მოთამაშეს. თბილისის კალინინის რაიონის განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე რ. სვანიძე სამმართველოს საპრეტენზიო ჯგუფში მოვიდა. მას სურდა გაეგო, რატომ არ მოხვდა 26-ე ტირაჟში მისი ბილეთის ნომერი მოგებათა ცხრილში, როცა ბილეთის „A" ნაწილში ოთხი ნომერი სწორად იყო წამლილი. გულმოდგინე შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ რ. სვანიძეს 5 სახეობა გამოიცნო და ეს ციფრები სწორად აღნიშნა როგორც „Б" ისე „B" ნაწილებზე, მაგრამ „A" ნაწილში გადატანის დროს ერთი ციფრის მაგიერ შეცდომით მეორე ჩაწერა. რ. სვანიძეს სასამოვნო სიურპრიზი ელოდა: 58-ის ნაცვლად 2991 მანეთი!

მოგების შემთხვევა გაციცლებით მეტი იქნებოდა, „სპორტლოტოს" ბევრი მოყვარული ბილეთების შევსებისას მკაცრად რომ იცავდეს თამაშის წესებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ლატარიის ბევრი მოთამაშე არღვევს ამ წესებს.

უსწოროდ შევსებულ ყველა ბილეთს დამუშავებისას აუქმებენ და ეს ბილეთები ტირაჟში, ცხადია, აღარ მონაწილეობს.

თამაშის წესები მოცემულია ბილეთის უკანა მხარეზე. ეს წესები ყურადღებით უნდა წაიკითხოთ, მერე კი ბილეთები გულდასმით შეავსოთ და მორიგ ტირაჟს დაელოდოთ.

ვ. ბამილაღდიშვილი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის კათედრის გამგის თანამდებობაზე (ფილოსოფიის მეცნიერების დოქტორი ან კანდიდატი).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.
ტელეფონები: 22-81-60, 23-09-02.

ევროპის ფეხბურთის ჩემპიონატი

ესპანეთი

გაიმართა ქვეყნის ჩემპიონატის V ტური, რომელშიც ორივე ლიდერმა წარმატებით ითამაშა: ბარსელონის „ესპანიოლმა" შინ მოუგო მურსიის „რეალს" (2:1), ხოლო მადრიდის „რეალმა" თავის მინდორზე ასეთივე ანგარიშით სძლია „ლას-პალმასს".

„ბარსელონამ" სტუმრად ფრედ ითამაშა „ჰერკულესთან" — 0:0. მადრიდის „ატლეტიკომ" დიდი ანგარიშით (4:0) დაამარცხა სარაგოსის „რეალი", ხოლო „ვალენსიამ" მოუგო „მალაგას" — 2:0.

9-9 ქულით ლიდერობენ „ესპანიოლი" და მადრიდის „რეალი". III ადგილზეა „ბარსელონა" — 7 ქულა.

პორტუგალია

ეროვნული პირველობის მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ლისაბონში, სადაც ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ლიდერი — ადგილობრივი „ბენფიკა" და „პორტუ". ყველასთვის მოულოდნელად, გაიმარჯვეს სტუმრებმა (1:0) და ახლა სატურნირო ცხრილის სათავეში სამი გუნდი კი აღარ დგას, არამედ — ორი. მეორე ლიდერია გიმარაიშის „ვიტორია", რომელმაც თავის მინდორზე დაამარცხა ბოლო ადგილზე მყოფი კოიმბრეს „აკადემიკა" — 3:1.

„ფარენსემ" ანგარიშით 1:0 აჯობა „ორიენტალს", ხოლო სეტუბალის „ვიტორიამ" შინ დაძაბულ ბრძოლაში წააგო შეხვედრა „ოლანენსესთან" — 2:3. საერთოდ, ამ ტურში სტუმრებმა უფრო მეტი ქულა (9) აიღეს, ვიდრე მასპინძლებმა (7), რაც იშვიათად ხდება.

გათამაშების ლიდერებს „პორტუსა" და გიმარაიშის „ვიტორიას" 12-12 ქულა აქვთ. 10 ქულით III ადგილზეა „ბენფიკა", რომელსაც ქულით ჩამორჩება „ფარენსე".

(საკ. ინფ.).

სუარესი ურჩევს...

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ბერნარდინმ ქვეყნის მოწინავე კლუბების ხელმძღვანელებს მიმართა თხოვნით, რომ შეკრებაზე გაეგზავნათ ფეხბურთელები. კლუბების მწვრთნელებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს ბერნარდინის თხოვნა.

ამავე დროს, ბერნარდინმ მიაღო მილანის „ინტერნაციონალეს" მწვრთნელ სუარესის წერილი. სუარესი ნაკრების მწვრთნელს ურჩევს ნუ დააბრუნებს გუნდში მაცოლას, რომელიც ახლა უფრულად თამაშობს.

ასეთივე ბარათი გამოუგზავნა ბერნარდინის „მილანის" მწვრთნელმა გრანორინმ. აქ ლაპარაკია რივერას სუსტ თამაშზე.

• • •

სურათზე: სანდრო მაცოლა მსოფლიოს X ჩემპიონატის მატჩებში იტალიის ნაკრების უხეირო გამოსვლამაც ერთობ ჩააფიქრა. ახლა მას სწორედ ამ თემაზე ესაუბრებიან სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები. შეიძლება ითქვას, რომ X ჩემპიონატში იტალიელთაგან მხოლოდ მაცოლამ ითამაშა ბრწყინვალედ.

ტ. პრაუმოვსკის ფოტო.



განა ეს არის გამოსავალი?

ლონდონის კლუბებს შავი დღე უდგათ: ინგლისის დედაქალაქის ყველა კლუბი, „ვესტ ჰემ იუნაიტედის" გამოკლებით, სატურნირო ცხრილის ბოლოშია მოქცეული. ინგლისის პრესა საქმის ასეთი ვითარებით აღშფოთებულია და აღნიშნავს, რომ ისეთი მდიდარი ტრადიციების კლუბები, როგორიც არიან „არსენალი", „ტოტენჰემ ჰოტსპური", „ჩელსი", „ქუინზ პარკ რეინჯერსი", ვერაფერს უხერხებენ ვერც მეტოქეს, ვერც საკუთარ თავს და აუტსაიდერებში ირიცხებიან.

მაგრამ ყველაზე საწყენი ის არის, რომ ამ კლუბების მენეჯერები თავიანთი ფეხბურთელების თამაშის გაუმჯობესების ერთადერთ გზას ხედავენ... მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვაში. გასაჭირში ჩავარდნილმა ოთხივე კლუბმა სწორედ ამ ხერხს მიმართა. ერთ-ერთ ასეთ ფაქტზე გუშინწინდელ ნომერში ვწერდით. ამ რამდენიმე დღის წინათ კი ცნობილი გახდა, რომ „ტოტენჰემ ჰოტსპურმაც" გადაწყვიტა სხვებს არ ჩამორჩეს. მან 150 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა შოტლანდიის კლუბის „დანდის" მოთამაშე ჯონ დუნკანი. ეს საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ „ტოტენჰემ ჰოტსპური" კიდევ უფრო ძვირად ყიდის თავის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს, ნახევარმცველ რალფ კოუტსს, რომლის თამაშსაც ჩვენი მკითხველებიც კარგად იცნობენ (ალბათ გახსოვთ მისი გოლი თბილისის „დინამოს" კარში შარშან). „ტრანსფერლისტში" კოუტსის ფასი 190 ათასი გირვანქა სტერლინგია.

ვნახოთ, ვინ გახდება კოუტსის მფლობელი. შესაძლოა ეს ლონდონის რომელიმე კლუბიც იყოს...

(საკ. ინფ).

• • •

სურათზე: რ. კოუტსი.

ფეხბურთი მოენატრათ

რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" ორი გუნდი თამაშობს: „ლაციო" და „რომა". „ლაციო" იტალიის ჩემპიონია და გულშემატკივრებიც ასე თუ ისე ჰყავს, „რომას" მატჩებს კი ნაკლებად ესწრება მაყურებელი. ამატომ „სტადიო ოლიმპიკო" კალენდარული მატჩების დროს მაინცდამაინც არ არის განებივრებული მომსვლელებით.

ეს ასეა, მაგრამ ახალი მწვრთნელის ბერნარდინის მიერ ნაკრების გაახალგაზრდავების მიზნით განხორციელებულმა რეფორმებმ რომაელები დაინტერესა. ამასთან, საბაფხულო შესვენება იტალიაში სხვა ქვეყნებზე მეტხანს გრძელდება. და აი, ფეხბურთის მონატრებული 70 ათასი მაყურებელი დაესწრო ეროვნული გუნდის მატჩს ახალგაზრდულ ნაკრებთან. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვა ეროვნულმა გუნდმა, თანაც, ხუთივე ბურთი პრატიმ გაიტანა.

84 კანდიდატი

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა დონ რივიმ გამოაცხადა გუნდის 84 (!) კანდიდატის სია. ეს ფეხბურთელები დროდადრო შეიკრიბებიან და ერთად ივარჯიშებენ. რივი ამბობს, რომ მის გუნდს ორი კონკრეტული მიზანი აქვს: ევროპის ჩემპიონობის მოპოვება 1976 წელს და მსოფლიო ჩემპიონობის მოგება 1978 წელს არგენტინაში.

პირველი მიზნის მიღწევაში, ინგლისელ მიმომხილველთა აზრით, რივის ხელი უნდა შეუწყოს ერთმა გარემოებამ: უეფა-მ ინგლისს მისცეს ევროპის ჩემპიონატის ფინალის ჩატარების უფლება, თუმცა ცნობილია, რომ საამისოდ ინგლისელები ფინალისტთა ოთხეულში უნდა მოხვედნენ, რაც საკმაოდ ძნელი ამოცანაა.

რივი აცხადებს, რომ მისი გუნდი პორტუგალიელებთან და ჩეხოსლოვაკიელებთან ბრძოლაში დაძლევს პირველ ეტაპს (კიპროსის გუნდს სერიოზულ კონკურენტად არავინ მიიჩნევს). 30 ოქტომბერს ინგლისელებმა „უემბლიზე" უკვე დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები (3:0), 20 ნოემბერს კი აქვე მიიღებენ პორტუგალიელებს.



ოქტომბრის სპორტულ ბუნდოვანებანი

წყალბურთი. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დახურული საცურაო აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ), **2-3 ნოემბერი.** საქართველოს თასი. დასაწყისი 19 ს. 30 წთ.

შაში. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). **საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი. 2-18 ნოემბერი.** 2 ნოემბერს შედგება I ტური, 3-ში — II. დასაწყისი 16 ს.

ფეხბურთი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. **საქართველოს ჩემპიონატი. 3 ნოემბერი.** „ლოკომოტივი" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). დასაწყისი 11 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფიული ბიულეტენი

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.